



მწეველი

1888-1888

«მწეველი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ წიტხვეპში.

მალა ყოვლად უსამღვდელოების, საქართველოს მსახროსის, მთავარ-ეპისკოპოსის პალაღის სახელ-წოდების დღესასწაულობა.

28 იანვარს, წმ. პალაღის დღესასწაულის დღეს, თბილისის ყველა ეკლესიებში დღის ამბით შესრულებულ იქმნა წირვა და სამადლობელი პარაკლისი მისი მალა ყოვლად უსამღვდელოების, საქართველოს ექსარხოსის პალაღის სახელ-წოდების დღესასწაულობისა გამო.

მალაქის მართლმადიდებელმა სამღვდელოებმა აღრიხანდ სწირა თავიანთ ეკლესიებში და გაღიხადა სამადლობელი პარაკლისი. შოველ ეკლესიაში მლოცველები ბლომად დაესწრენ წირვასე. როგორც სამღვდელოება, ისე მლოცველები გულმოდგინებით ევეღრებოდნენ ღმერთსა და

სთხოვედნ მშვიდობას და მრავალ-ჟამიერ სიცოცხლეს თავიანთი მწეველ-მთავრის, საქართველოს ექსარხოსის პალაღისათვის, რომელმანც ასე მოკლე დროს

განმავლობაში დაიმსახურა საზოგადო სიყვარული როგორც თავის ქვეშევრდომთა და თანა-მოსამსახურეთა, ისე ყველა წოდებისა.

მისმა მალა ყოვლად უსამღვდელოებამ პალაღიმ 27 იანვარს შიასრულა ღამის თვეით ცისკარი



მთავარ-ეპისკოპოსი მალაღი, ექსარხოსი საქართველოსა.

თავის სასახლის ეკლესიაში. მეორე დღეს, 28 იანვარს, ამავე ეკლესიაში თვეითონ მათი მეუფება ბრძანდებოდა მწირველი. მითქმის შუა წირვა იყო, როცა ეკლესიაში შემობრძანდენ ექსარხოსის ვიკარი ყოვლად სამღვდელონი: პლექსანდრე, ეპისკოპოსი ზორისა და ბესარიონი, ეპისკოპოსი პლავერდისა და მთელი ქალაქის მართლმადიდებელი შოასანი და თერთოსანი სამღვდელოება. მანიცადენის დროს სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზმა მლიემა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა, რომლიდამაც ჩვენ მოგვყავს ზოგიერთი აღვილები:

«შრისტეს ეკლესია ყოველ დღესასწაულს

იმოდენად უფრო დღის ამბით აარულებს, რამოდენათაც დიდ მნიშვნელოვანია მოსახსენებელი პირი ანუ საგანი. რამდენათაც შესანიშნავია საღიდებელი პირი თავი

ვისი შინაგანი ღირსებით და ქველ-მოქმედებით, მით უფრო დიდებულია დღესასწაული და შეკრებილებაც მრავალ-რიცხოვანია.

აწმყო დღესასწაული ორ ნაირად შესანიშნავია ჩვენთვის: ერთსა და იგივე დროს ვისხენიებთ ქრისტეს სათნო და ღირსს პალოლადის და ვდღესასწაულობთ ჩვენი მწყემსთ-მთავრის, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის პალოლადის სახელ-წოდებას, — ორ ნაიოდ სადღესასწაულოა დღეის დღესასწაული, რადგან, ერთის მხრით, წმ. ეკკლესია იხსენიებს ღირსს პალოლადს, ხოლო მეორეს მხრით ჩვენ ვიგონებთ ჩვენ შეიღურ სიყვარულს ჩვენი სახელოვანი მწყემსთ-მთავრისადმი, რომელიც არის მფარველი მისდამი რწმუნებულნი სამღვდელოებისა და კეთილი მხარუნველი მამა ყველა თავისი სულიერი შვილებისა. და ესრედ, ორი მფარველი-ზეციური და ქვეყნიური არიან მიზეზი აწმყო ჩვენი მხიარულებისა. ნუ ვიქნებით, ძმანო, უქმი მაცქერალნი ამა დღესასწაულისა და გულ-გრილი მდღესასწაულენი. მსთხოვით ჩვენი მწყემსთ მთავრის მფარველ ანგელოზს, როგორც ქრისტეს სათნო-მოყვარეს, რათა მან დაიფაროს მათი მეუფება და შეეწიოს მასს მს დიდს მოღვაწობაში თავისი ლოცვით და შუამდგომელობითა უზენაესის ტახტის წინაშე. მივევებოთ აგრეთვე თვით ჩვენს მწყემსთ-მთავარს და მფარველს და ვისურვოთ მისთვის მრავალ-ჟამიერი სიცოცხლე და კეთილ-დღეობასასარგებლოდ ეკკლესიისა და წარსამატებლად მისდამი რწმუნებულნი სამღვდელოებისა. ჩვენი აწმყო მხიარულების დასამტკიცებლად, რამდენიმე წამი შევჩეროთ ჩვენი გონება კაცის სულის იმ კარგ თვისებაზე, რომელსაც ჩვენ, ჩვეულებრივად, ვეძახით გულ-კეთილობას და რომლითაც განსხვავდება ჩვენი მწყემსთ-მთავარი, როგორც ეს იხედება მისი კეთილ განზრახვათა და განკარგულებათაგან ჩვენი საქართველოს ეკკლესიის მართველობის საქმეში.

ბულ-კეთილობა არის ჭეშმარიტი წყარო ყოველი კეთილი, სასიამოვნო და სასარგებლო საქმისა. კეთილი გულის მოქმედებათ უწოდებენ ხან — შეწყალებას, ხან შემბრალეობას, შეხედვისა მებრ იმ საგანთა სხვა-და-სხვაობისა, რომელთაზედა მატყუელია გულ-კეთილობა. როდესაც უმაღლესნი პირნი შედნან მათდამი ქვეშევრდომთა მდგომარეობაში და მ-მთმენელობით მიუტყევენ მათ შეცდომათა, აჯილდოვებენ მათ კეთილი საქმეებისათვის, როდესაც შემწეობას აღძვევენ მათ, რომელნიც ჩაეარდნილან რაიმე უბედურე-

ბაში, აქმევენ და აცმევენ მათ, რომელნიც სიღარიბეში ჩაეარდენ, ხმარობენ ყოველივე ღონეს და საშუალებას ავად მყოფთა მოსარჩენად, — ყოველივე ეს წარმოსდგება გულ-კეთილობისაგან. კეთილი კაცი არ კმაყოფილდება მარტო ერთი გაწევანი საქმეებით, რათა დაამტკიცოს შემბრალეობა და მოწყალება, არამედ ის მზად არის ასეთივე დახმარება აღმოუჩინოს მოყვასის შინაგან, სულიერ მხარესაც; მაგალითად, კეთილი მწყემსი შედის სინანულს მიცემული კაცის მდგომარეობაში, აცხებს მასს ღვთიური სწავლის ზეთით და ეწევა მას მის სულიერ ცხოვრებაში. კეთილი კაცი ყოველთვის მზად არის შემწეობა აღმოუჩინოს სხვას. მაგრამ ის შემთხვევანიც, რომელნიც აძულდებენ კეთილ კაცს სხვას შემწეობა აღმოუჩინოს, არიან სხვა და სხვა გვარნი: ზოგიერთი მათგანი გვაძულდებენ ჩვენ, შემწეობა აღმოუჩინოთ სხვას ზნობითად ანუ სულიერად, ზოგნი კი გვიწევენ, რათა შევეწიოთ სხვას ნივთიერად. არის ისეთი შემთხვევებიც, რომლებშიაც კაცს არავითარიმე ნივთიერი შემწეობა არ შეეღის. მაკალითად, როცა ვინმე სასტიკად არის ავად-ზნობითად, რამდენიც უნდა ასეა მას წამლები, მის მდგომარეობას ევრაფრით ვერ გააუმჯობესებთ. აქ საჭიროა სულიერი წამალი, სარწმუნოებრივი შემწეობა, იმედი მწყემსისა, გამოცდილი კაცის რჩევანი. არიან აგრეთვე ისეთი შემთხვევებიც, რომლებშიაც კაცს არც რჩევა და არც შთაგონება არ შეეღის. მაგალითად, როცა ვინმე მშიერი და შიშველია, რამდენიც უნდა არწმუნო ის, რომ იგი არც მშიერი და არც შიშველი არ არის, ვერ დაარწმუნებთ. აქ მხოლოდ ერთ ნივთიერ შემწეობას შეუძლია შეუშუბუქოს ღარიბს მისი ნივთიერი მწუხარება. ესრედ, კეთილი კაცი ყოველ შემთხვევაში ეწევა სხვას. ამისთანა კეთილნი და შემბრალენი უნდა ვიყვნეთ ჩვენ ყველანი. ასეთია ჩვენი მწყემსთ-მთავარიც, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პალოლადი, მიზეზი აწმყო დღესასწაულობისა...»

სამადლობელი პარაკლისის გადახდის დროს მონაწილეობა მიიღო მთელმა სამღვდელოებამ, რომელიც დაესწრო ტაძარში. სამღვდელოება შემოსილი იყო სადღესასწაულო შესამოსლებით. თუმც ეს დღე სამუშაო დღე იყო, მაგრამ მდამიო ხალხით საესე იყო ეკკლესია. მლოცველებთ შორის შენიშნავდით სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ და სასწავლებლების უმფროსებს. წირვის და სამადლობელი პარაკლისის შესრულების შემდეგ

სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარჩინებულნი პირნი, ქალაქის წარმომადგენელნი და სამღვდლოეზა შეიკრიბენ ექსარხოზის სასახლის ზალაში, რათა მიელოცათ მათი მკუფებისათვის მათი ღლეობა. პირველად მათ მკუფებს მიულოცა ღლეობა ყოვლად სამღვდლო პლექანდრემ, რომელმაც მათ მკუფებს უთხრა სიტყვა და შემდეგ მთელი თბილისის მართლმადიდებელი სამღვდლოების სახელობით მიართვა ივერიის ღეთის-მშობლის ხატო. შემდეგ მათ მკუფებს მიულოცა ღლეობა სემინარიის რექტორმა, არქიმანდრიტმა პაისიმ და მისდამი რწმუნებული სემინარიის მასწავლებლებმა; ამ დროს სემინარიის მეექვსე კლასის ერთმა მოწაფემ სიტყვა უთხრა მის მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობას პალლადის; ამ სიტყვის გათავების შემდეგ მიულოცა ღლეობა სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის ზედამხედველმა უ. პაშკევიჩმა, რომელმანც ჯერ მოახსენა სიტყვა მათ მკუფებს და შემდეგ თავის სასწავლებლის მასწავლებლების სახელობით მიართვა ექსარხოზს ალბომი კავკასიის ზოგიერთ ადგილებისა, საღმთო ნაშთებისა და ქრისტიანულ ძეგლებისა. ბოლოს იქ დამსწრე საერო წოდების ერთმა პირმა შესაფერი სიტყვით მიმართა მათ მკუფებს პალლადის და მიულოცა ღლეობა. მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობამ გულითადი მადლობა შესწირა ყველას მილოცვისათვის და ბევრი საპატიო პირნი მიიწვია საღილზე.

მილოცვის და სიტყვების წარმოთქმის დროს ექსარხოზის მაგალობელთა გუნდი მშვენიერად გაღობდა სხვა და სხვა სასულიერო საგალობლებთ, რომელთაც კაი შთაბეჭდილება მოახდინეს სტუმრებზე. საღილზე მათი მკუფება, ექსარხოზი პალლადი ყველა სტუმრებს ღიღის პატივით და სიყვარულობით ეტყობოდა, რასაც აღტაცებაში მოჰყავდა სტუმრები. მათმა მკუფებამ მიართვა საღვდლო მათი იმპერატორებრთ უდრებულესობათა, შემდეგ დაღიეს საღვდლო თვით ექსარხოზის პალლადისა, რომლისათვის ისურვეს გრძელ-ჟამიერი სიცოცხლე. წყნარში მ. ბიორგი ხელიძე მიიქცა მათი მკუფებისადმი სიტყვით, რომელშიაც გამოხატა თავის კეთილი განზრახულებანი და სურვილნი. დაბოლოს მათ მკუფებს სიტყვა მოახსენა საქართველოს თავად-აზნაურობის სახელობით გენერალ-მაიორმა თავადმა მახტანგ მახტანგის ძემ მარბელიანმა.

ნაშუადღევს ხუთი საათის ნახევარზე გათავდა საღილი და სტუმრები წავიდნენ შინ და თან წაიღეს

მშვენიერი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მათზე ახალი ექსარხოზის თავაზიანმა და თავდაბალმა მოქცევამ.



უხრადლება მივაპტიოთ ჩვენი შვილების ზნეობა-ჩიზ და გონებრივ აღზ-დას.

ღღეს ჩვენი სასწავლებლებიდან ხშირად ირიცხებიან მოსწავლე ყმაწვილები უსწავლელობისა და ხან ცუდი ყოფა-ქცევისა გამო. როცა გამორიცხული ყმაწვილები მოდიან სახლში, დიდ მწუხარებას ეძლევიან ხოლმე მშობლები და უკმაყოფილებას აცხადებდნენ იმ სასწავლებლების უფროსებზე და მასწავლებლებზე, საიდგანაც ჩვენი შვილები გამორიცხეს. ბაჯავრებული მშობლები ამბობენ: «ჩვენი შვილი სკოლაში შეყვანის დროს ნიჭიერიც იყო და კარგი ყოფა-ქცევისაც და ეხლა თუ გაფუტდა, ეს სასწავლებლის ბრალია და იქვე უნდა გაესწორებიათ. რაღა ვქნათ ეხლა! რაც გავაჩნდა, შეილზე დაეხარჯეთ და იმედი გექნადა, რომ შვილი ისწავლიდა და ხარჯი უქმად არ ჩაგვივლიდა». ასე სჯიან ბაჯავრებული მშობლები და იმას კი აღარ ფიქრობენ, თუ ვინ არის დამნაშავე მათი შვილების გამორიცხვაში? უმეტეს შემთხვევაში თვითონ ჩვენ, მშობლები, ვართ დამნაშავენი, რომ ჩვენი შვილები სასწავლებლებში ცუდად სწავლობენ და ცუდ ყოფა-ქცევას იჩენენ, რაისა გამო ისინი ხშირად ირიცხებიან სასწავლებლებიდან. თუ გესურს, რომ ჩვენმა შვილებმა კარგად ისწავლონ და კაი გზასაც დაადგინონ ცხოვრებაში, ჩვენ მუდამ უნდა ვეხმარებოდეთ სასწავლებლების გამგებელთ. საკმაო არ არის, რომ შვილი შევიყვანოთ სასწავლებელში, დავაყენოთ რომელიმე ბინაზე, ვუყიდოთ საჭირო ნივთები და მერე კი აღარ ვინახულოთ, აღარ გავაგოთ, თუ როგორ სწავლობენ ჩვენი შვილები და ან როგორ იქცევიან. სასწავლებლების გამგეთ არ შეუძლიათ, რომ სასწავლებლების გარეშე მუდამ ყური ადვენონ მოწაფეებს, განსაკუთრებით იქ, სადაც მოსწავლენი არ ცხოვრებენ ერთ საზოგადო ბინაზე. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ბავშვები სკოლაში შეყვანის დროსვე არიან გაფუჭებული ჩვენს სახლებშივე და მათი გასწორება შემდეგში ძნელი ხდება. თუ ოჯახშივე ბავშვს აქვს მიღებული ხეირიანი აღზრდა, ის სკოლაშიაც

კარგი ყოფა-ქცევის დარჩება. ამიტომ მშობლები დიდ ყურადღებას უნდა ექცევიდეთ ჩვენს შვილებს ოჯახში და სკოლაში მიცემის შემდეგაც ხშირად უნდა ენახულობდეთ მათ და თვალყურს ეადევნებდეთ მათ სწავლას და ყოფა-ქცევას.

შოველი მშობლისათვის და განსაკუთრებით მღვდლისათვის სამწუხაროა, როცა მისი შვილი, რომლის აღზრდაზე მან დახარჯა უკანასკნელი შეძლება, ირიცხება სასწავლებლიდან და ცხოვრებაში ცუდად იქცევა. ბანებით გაუხსნელნი და ზნეობითად გაფუჭებულნი ყმაწვილები დიდ ენებას აძლევენ მათი მშობლების მოქმედებას სამრევლოებში, ისინი თავიანთი ცუდი ყოფა-ქცევით ამცირებენ თავიანთ მშობლების მწიგნობარებას მრევლში. ბევრი მღვდელი დიდის მწუხარებით შესცქერის თავის შვილს, რომელიც პარველად კარგად სწავლობდა და კაი ყოფა-ქცევისა იყო, მაგრამ მერე ასცდა ჭეშმარიტს გზასა. ამისთანა შვილების რიცხვი კარგა დიდია ეხლანდელს დროში. ამიტომ ამისთანა სამწუხარო ფაქტებმა უნდა აიძულოს ჩვენი მშვემსნი და მათი მეუღლენი, რომ მათ ერთიორად გააორკეცონ თავიანთი ზრუნვა შვილებზე, რათა აღზარდონ მათი შვილები რიგიანად და პატარაობაშივე დანერგონ მათ გულში და სულში შიში ღვთისა, რომელიც შეიქმნეს ხელმძღვანელი ყოველი მათი მოქმედებისა შემდეგ მათ ცხოვრებაში. აქ ჩვენ გვინდა უჩვენოთ მღვდლებს, განსაკუთრებით სოფლის მწყემსთა, თუ რა შეცდომა მოსდით მათ ხშირად მათი შვილების აღზრდის საქმეში.

როცა ახალ-გაზდა მღვდელს, რომელიც მზად არის ერთგულად შეასრულოს თავისი მოვალეობა, შეეძინება პირველი შვილი, მშობელი მაშინვე შეუდგება ზრუნვას და ფიქრს, რომ შვილი ხეირიანად აღზარდოს. შეიქმნება თუ არა ბავშვი ხუთი-ექვსი წლისა, მზრუნველი მამა მაშინვე იწყებს ბავშვის აღზრდას, აძლევს მას დარიგებას და, თუ მამის რომელიმე ბრძანებას ვადვიდა შვილი, კიდევ სჯის მასს. შვილიც, როცა ხედავს, რომ მასს მამა ასე სასტიკად ექცევა, მეცადინობს, რომ, რაც შეიძლება, მოშორდეს მამის მხედველობას და სცდილობს ყოველი თავისი ცუდი საქციელი დაჰფაროს. აქედამ ყმაწვილი ეჩვევა სიცრუის ლაპარაკს და ფარულად მოქმედებას. ღვდებს, ებრალებათ თავიანთი შვილები, როცა მამები უჯაგრდებიან და სჯიან მათ და ამიტომ ხშირად მალევე მამისაგან შვილების დამნაშაობას და

იმას კი არ ფიქრობენ ისინი, რომ ამით უფრო აქეზებენ შვილებს. ბავშვი ხდება გულ-ჩახვეული. ამისთანა მოქმედებით ყმაწვილის სულში ითესება ცუდი თესლი, რომელიც შემდეგში ენებს სწავლის საქმეს და მოაქვს ცუდი ნაყოფი. რასაკვირველია, არც ძალიან უნდა გაათავამო ბავშვი, მაგრამ მეტის-მეტის სასტიკად მოქცევაც მანებელია. უნდა ვცდილობდეთ, რომ ბავშვი პატარაობიდანვე მიეჩვიოს მამის ბრძანების და დარიგების აღსრულებას, მაგრამ ზოგიერთი დარიგების აღსრულებლობისათვის უსათუოდ არ უნდა ვსჯიდეთ ყმაწვილს; აკრთვე არ უნდა ვსჯიდეთ სასტიკად ყმაწვილებს ცელქობისათვის, რასაც მოითხოვს ბავშვის მოძოავი ბუნება.

მიუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ, მშობლებმა, პატარაობიდანვე დანერგოთ ბავშვის სულში და გულში საწმენოება, ღვთის ვედრების სიყვარული და მიეჩვიოთ ყმაწვილები ტაძრებში სიარულის ღვთის მსახურების დროს. შოველივე ეს აუცილებელი მოვალეობა არის ყველა ქრისტიანე მშობლებისათვის და განსაკუთრებით მღვდლისათვის. ღვთის-ვედრებას და ტაძრებში სიარულის მშობლები მართო სიტყვით კი არ უნდა ვასწავლიდეთ პატარა ბავშვებს, არამედ საქმით და ჩვენი მოქმედებით. მართალია, ღვთის-ვედრების და ტაძრებში სიარულის მნიშვნელობას ვერ გაიგებენ პატარაები, მაგრამ ყოველივე ეს სასარგებლო იქმნება მათთვის შემდეგში. როცა პატარაობიდანვე ბავშვის სულში და გულში დაითესება შიში ღვთისა, მას მერე მოაქვს კეთილი ნაყოფი, მაგრამ საჭიროა ფიხილად მოვექცეთ ამ თესლს, რომ ის აღორძინდეს ბავშვებში ღირსეულად. საჭიროა აგრეთვე, რომ, როცა ჩვენ ყმაწვილებს ვასწავლით ღვთის-ვედრებას და კვირა-უქმ დღეებში ტაძრებში სიარულის, არ უჩვენოთ მათ, რომ ბავშვებისათვის ვითომც არც კია სავალდებულო ყოველივე ამის აღსრულება. ამ შემთხვევაში სწორეთ საქები იყენენ ძველი მღვდლები, რომელნიც მართო სიტყვით კი არ არიგებდნენ თავიანთ შვილებს, არამედ საქმით და თავის მაგალითით. მანსაკუთრებით მეტის-მეტის ყურადღება ჰქონდათ მათ მიქციული მათი შვილების ეკლესიაში სიარულებს და მათ ღვთის ლოცვა ვედრებაზე.

მართალია, დიდი შრომა აქვს მღვდელს, თუ მას დიდი მრევლი ჰყავს მოსავლელი და მასთან სამრევლოდამ აღებული შემოსავალიც არ ჰყოფნის სარჩენად და სჭირდება მუშაობა სარჩოს მოსაყვანად. ასეთ მღვდელს ძალიან ცოტა დრო აქვს, რომ თავის შვი-



ლებს აღზრდაზე იზრუნოს და მათ შესაფერი ყურადღება მიაქციოს და თვითონაც წაიკითხოს რამე. ამისთანა მამა ძვირად შემოდის სახლში, ამიტომ ბავშვები თავის ნებაზე არიან გაშვებულნი და ყურის-მგდებელი არა ჰყავთ მათ. არც დედებსა აქვთ დრო, რადგან მათ დიდი შრომა აწევსთ კისერზე. ამის გამო ბავშვები სრულებით მოკლებულნი არიან თავიანთი მშობლების მხედველობას და ზედ-გავლენას. მათი სიტყვით, ჩვენი შვილები პატარაობაშივე მოკლებულნი არიან იმას, რასაც ვერ მიანიჭებთ მათ შემდეგში ვერაფერი აღზრდა. მსე იგი მოკლებულნი არიან სარწმუნოებრივ აღზრდას. ბოლოს მშობლებიც ვკრძობთ ხოლმე ამ ნაკლსა, მაგრამ გვიანდა იქნება ხოლმე.

ამიტომ საუმჯობესოა, რომ უმეტესი ყურადღება მივაქციოთ ჩვენი შვილების აღზრდას. უნდა ვცდილობდეთ, რომ კაცობრიული ზედ-გავლენა ვიქონიოთ ჩვენი შვილების გონებაზე და სულზე, რომ ისინი გვიყურებდნენ ჩვენ როგორც ნამდვილს მამებს და მათ კეთილს მყოფელთ.

ჩვენი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები რუსეთში მოგზაურობის დროს. *)

(სატახტო ქალაქების სამღვდლოება და ხალხის მასთან დამოკიდებულება).

(გაგრძელება).

ძარგა ხანია, რაც ჩვენ შევაჩერეთ ჩვენ მკითხველებთან საუბარი ჩვენს მოგზაურობაზე რუსეთში. მიზეზი ამისა მრავალია. წლის გამთავეს და ახალი წლის დამდეგს ყველა ქურნალ-გაზეთების გამოცემათა დიდი ჯაფა და შრომა მოსდისთ. ესა ჯაფა და შრომა ჩვენთვის ერთი ათად მეტია, ვინაიდან ყველა ჩვენ მკითხველებს და სხვა პართაცა მართა ჩვენ უნდა გავცეთ პასუხი, ყველასთან ჩვენ გვაქვს პირდაპირი მიწერ-მოწერა. სხვაგან რედაქციებს მრავალ ადგილას აქვთ კანტორები გახსნილი და კანტორის მმართველები აძლევენ ყველას პასუხს. ჩვენში ყველა

ესეები მოუხერხებელია ნივთიერი შეუძლებლობის გამო... მხლა ვიშოვეთ თავისუფალი დრო და ვაგრძელებთ საუბარს ჩვენ მოგზაურობაზე.

შტო კაცი რომ დააკვირდებოდა რუსეთის სატახტო ქალაქების სამღვდლოებას და საზოგადოების მასთან დამოკიდებულებას, დიდ სიამოვნებას გრძნობს. მართალია, ამ ქალაქების სამღვდლოებას, როგორც თითქმის ყველა განათლებულთა, ჯერჯერონად უყავიათ თავიანთი თავი და ძალიან ერიდებიან ყოველივე მასს, რაც ამდაბლებს მღვდლის ხარისხს და მნიშვნელობას ხალხის თვალში; მართალია, მათ საქციელს და გრძნობით საესე ღვთის-მსახურებას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე, მაგრამ საზოგადოდ ხალხის შეხედულება სამღვდლოებაზე და დამოკიდებულება გასაკვირველია. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის პატივისცემა და მამა-შვილური სიყვარული ხალხისა, რომლითაც ეს უკანასკნელი ეპქრობა სამღვდლოებას; ამისთანა სასასიამოვნო დამოკიდებულებას ყველგან ვინაშნავდი ამ სატახტო ქალაქებში. პირველ ქუჩებში ხშირად შეხვდებით ჩანებულ პირთა ორასავე სქესისასა, რომელნიც დიდის მოწიწებით მიდიან მღვდელთან კურთხევის მისაღებად და ხელზედ ეამბორებიან მასს. სადაც უნდა შეხვდნენ მღვდელს დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველანი დიდს პატივისცემით თავს გიკრავენ და ისე გეპქრობიან, როგორც ნამდვილ ღვთის-მოსამსახურეს. როცა ეკლესიის სახლოვეს გაივლის კაცი თუ ქალი, არ შეიძლება, რომ მათ პირზე-ჯვარი არ გამოისახონ. ამ მხრით პეტერბურღს და მოსკოვია ქრისტიან მკვიდრთა ჩვენ საოცრად გაგვაკვირვებს.

რამდენ ჯერ მომაგონდნენ ჩვენ ქალაქებში მცხოვრები განათლებულნი პარნი. ჩვენში მღვდელს ქეჩაში გავლა ეზარება!.. ჩვენი, ვითომ ნასწავლნი, ვაჟ ბატონები და განსაკუთრებით ქალბატონები ხომ მღვდელს არ შეხვდვენ გზაში შეხვედრას დროს და, თუ უნებლიეთ დაინახეს, დააკვირდით მათ რა-და-რა სისულელეს ჩადიან! სატახტო ქალაქებში გენარღები და დიდი წოდების პარება მღვდლებს ემუსაუფებიან თავზინანად და მათთან სიარულს სრულებით არ ერიდებიან. ჩვენში, თუ ვინმემ პრპარშიკობა მიიღო და პატარა შესამწევი ადგილი იშოვა, გათავდა! მღვდელი თვალით აღარ დაენახებოდა. მკლესიის ახლოს გავდის დროს ვინ მოსთხოვს მათ პირზე ჯვარი გამოისახონ რომ ეკლესიაში სიარულს არ მოსპობდნენ!.. აი ამისთანა ვაჟ-ბატონების და ქალბატონების წყალობით ჩვენ ახალ თაობაში სულ თან-

*) იხ. „მწეპისი“ 1887 წ., № 23.

და-თან სუსტდება სარწმუნოება და ქრისტიანული ზნეობა. ეს უბედური სენი ახალ-მოზარდ თაობაში უფრო გავრცელებულია, რადგან ზოგნი თვით ჭკუის მასწავლებელნიც დიდად შეპყრობილნი არიან ამისთანა სენით. ღიახ, ცუდი დრო დაგვიდგა. ზნეობის მასწავლებლად ყმაწვილებს ენიშნება ხშირად ყოვლად გაფუჭებული, ზნეობით და სულით მდაბალი კაცი. სარწმუნოების მექომავედ გამოჩნდნენ ყოვლად ურწმუნო კაცები და რა გასაკვირველია, რომ სარწმუნოება და ზნეობა ასე მდაბლდება ხალხში!..

იმას არ ვიტყვით, რომ სატახტო ქალაქებშიაც არ იყენენ ზნეობით და სარწმუნოებით მდაბალნი და დამახინჯებულნი პირნი, მაგრამ იქისინი ისე შესანიშნავნი არ არიან, როგორც სხვა ქალაქებში და განსაკუთრებით ჩვენში.

რუსეთის დანარჩენ ქალაქებში სრულებით არ არსებობს ის სანატრელი დამოკიდებულება მრევლსა და სამღვდლოთა შორის, რომელსაც შენიშნავთ თქვენ სატახტო ქალაქებში. სხვაგან სამღვდლოება ძლიერ ემდურის ეხლანდელი ხალხის სარწმუნოებისადმი გულ-გრილობას და მასში ქრისტიანული ზნეობის დასუსტებას.

ჩვენს საქართველოში მოსულმა ხალხმა შემოიტანა ეს რაღაცა უბედური ამაოდ-მორწმუნეობა, რომელსაც ასრულებენ მღვდლის დანახვის დროს. ჩვენ ხალხს წინეთ და დღესაც მრავალს ადგილას სოფლებში მღვდლის შეხვედრა გზაში ბედნიერებად, კეთილ-ნიშნად მიაჩნდათ და მიჩნიათ დღესაც, მაგრამ დღეს ქალაქებიდამ თან-და-თან ვრცელდება ამისთანა სულიერული ამაოდ-მორწმუნეობა. მაგრამ წინანდელი ჩვეულებანი და საქციენნი, შეილების აღზრდა და მშობლების მოქმედება ხომ სრულებით აღარ ეთანხმება და ეშვავსება ეხლანდელი დროის ოჯახებში შეილების აღზრდას და საქციელს?.. მრავალ ჯერ გამოგვითქვამს ჩვენ ჩვენი მწუხარება ეხლანდელი დროის დამახინჯებულ ნშობლებზე, რომელთა შეილები როგორც თავიანთ თავისათვის, ისე ძამულისათვის ყოვლად უსარგებლონი გამოდიან და ამიტომ ეხლა საჭიროდ აღარ ეხედავთ ამ საგანზე ხელ-მეორედ ლაპარაკს.

ჩვენში რომ რომელიმე კეთილ-შობილთაჴანს გაუბედო და სთხოვო ეკლესიის სტაროსტად დადგომა, არ ვგონებ, რომ ცოცხალი გადურჩე. მიივლებს, როგორ გამიბედე ეკლესიის სტაროსტად დადგომაო. ასე სათაკილოდ და სასირცხოდ მიჩნიათ ჩვენში ეკლესიის სამსახური. რუქებში კი სულსხვას

ხედავს კაცი. იქ ხშირად შეხვედება კაცი სტაროსტის თანამდებობაზე გრაფებს და დიდ-კაცობას. ეს თანამდებობათ სრულებით სათაკილოდ არ მიჩნიათ. და ან კი რა არის ამ თანამდებობის აღსრულებაში სათაკილო. სრულებით არაფერი. მაგრამ როდესაც ღვთის მსახურება სათაკილოდ ხდება საზოგადოებაში, რასაკვირველია, ყოველ-გვარი ეკლესიური თანამდებობაც სათაკილოდ გადაიქცევა.

დეგ. დ. დამბაშიძე.



მოსუცავილი მღვდლის წერილი ახალ-გაზდა მღვდლისადმი, წლიური ანგარიშების შედგენისა ბაჴო.

თქვენ, პატროსანო მამო, იწერებით, რომ ადგენთ წარსული წლის ანგარიშებს და კიდევ არ იცით, როგორც რიგია, ყველა ანგარიშების წესიერად შედგენა. თქვენ ეხლა აღბათ ხელში გაქვსთ შესავალ-გასავლის წიგნები, მეტრიკული საბუთები, აღსარებითი მთქმელთა სიები და სხვანი. ანგარიშის შედგენა ძალიან კარგი საქმეა: ეს ანგარიში აშკარად დაგანახებებს შენ, თუ რა მდგომარეობაშია ის საქმე, რომელსაც შენ ემსახურები. ხოლო მწყემსს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შეკრებილი ნამდვილი ცნობები მისი სამწყსოს ცხოვრებაზე, სულიერ მდგომარეობაზე; აგრეთვე უნდა იცოდეს, თუ როგორ მოქმედებს ის თავის სამწყსოში და ან რა ნაყოფი მოაქვს მის მოქმედებას სამწყსოსათვის. მღვდელმა უნდა იცოდეს თავის სამწყსოს თვითეული წევრი, რომ შემდეგ მოუძღურობდეს ჯადგინოს, სხეული განკურნოს, ცოთმილი მოაქციაოს, შემუსრავილი შეჭკვას, და ძლიერ იქმნეს შრამით, (ეზეკ. 34, 4, 16). ბრძენი იგავთ-მწერალი ასე არიგებს მწყემსს: «მეტნიერებით აუწყე სულსა სამწყსოსა შენისა და დაადგინე გული შენი სამწყსოსათა შენთა მიმართ. (იგავი 26, 23). მწყემსმა ყოველივე ღონე უნდა იხმაროს, რომ კარგად შეიტყოს თავის სამწყსოს თვითეული წევრის სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობა, რომ შემდეგ შესაფერად მოეპყრას თავის სამწყსოს და წარუძღვეს წინ.



შენ თვითონ აღიარებ, რომ ამ წერილობით ანგარიშებს; რომელთა შედეგისათვის ასე ბევრს შრომობენ ცხლა მწყემსნი, სრულებით არაერთარი სარგებლობა არ მოაქვსთ იმ დიდი საქისათვის, რომელსაც შენ ემსახურები. მხლა როგორც შენ, ისე მთელი კრებულნი და სტაროსტა ანგარიშობთ, თუ რამოდენი ფული შემოვიდა წარსულს წელში, მაგალითად, რამდენი შემოსულა სამთლის გასყიდვისაგან, გვ რგვინაკებისაგან და საეკლესიო ყულობისაგან (КРУЖКА); შემდეგ იანგარიშებთ, თუ რა დარჩა ხარჯების დაფარვის შემდეგ ახალი წლისათვის, და ამასთან, შეიძლება, იმასაც ანგარიშობდეთ, თუ რა შემოვა ახალს წელში. მაგრამ განა მარტო ევ შემოსავალი და გასავალი უნდა მოიყვანოთ ცნობაში? მანა მარტო ამხე უნდა ფაქრობდეთ და ზრუნავდეთ? მღვდლებს გაქვსთ კიდევ ერთი სიმდიდრე, რომელსაც თქვენ, მოვალეობისა მებრ, უნდა მოუაროთ, ასარგებლოთ, დახარჯოთ და შემდეგ ყოველივე ამაში დაწვრილებითი ანგარიში მისცეთ თქვენ თავს; თქვენზე გადმოსულ არს მადლი მღვდლობისა, რომელიც ნაკლულევენებასა აღავსებს; ბევრს თქვენგანს მიღებული აქვს განათლება; თქვენ გიხვეწებენ და გასწავლიან, თუ როგორ უნდა დამწყსოთ თქვენი სამწყსონი. აი ეს არის თქვენი ჰარეული თანხა, თქვენი სიმდიდრე და ამ სიმდიდრისაგან თქვენ უხვად უნდა სთესდეთ თქვენდამო რწმუნებელ ღვთის ყანაში, უნდა ასარგებლობდეთ და ხარჯავდეთ. თვითოეულმა თქვენგანმა კარგად იცის, თუ რა არის ეხლანდელ დროში გასავალი და თავნის სარგებელი? აი თქვენ დასვით საზოგადო ჯამი იმ ფულებსა, რომელიც შემოსულა წმინდა სანთლისაგან; მაგრამ ამავე დროს მოიგონეთ შემდეგი: ბევრი იზრუნეთ და იმეცადინეთ თქვენ, რომ მათ გულში და სულში, რომელთაც ეს გასყიდული სანთლები აანთეს, ანთებულყო სარწმუნოება და სიყვარული ღვთისა, მოყვებისა და კეთილი საქმეებისადმი? ნაანგარიშევი გექნებათ, თუ რა შემოსულა ტაძრის გამშენიერებისათვის? მაგრამ თქვენ თვითონ ბევრი იზრუნეთ, რათა გაგემშენებიათ ტაძარი თქვენი ღვთისმომშიში მსახურებით, ქადაგებით, ლოცვების გარკვეული კითხვით და კარგის გალობით? თქვენ სამწყსონში ხომ ისეთებიც გყვანან, რომელთაც არაერთარიმე შეიძლება არა აქვსთ, ე. ი. რამოდენი არიან, რომელთაც სარწმუნოების უსაჭიროესი მოთხოვნილებანი არ იციან? ამიტომ თქვენ მოვალენი ხართ, მოაგონოთ,

თუ რამდენია თქვენს სამწყსონში ისეთები, რომელთაც არ იციან თვით მოკლე და უსაჭიროესი ლოცვები, მაგალითად, «მამაო ჩვენო» ლოცვა მფარველი ანგელოზისადმი და სხვანი. ასწავლეთ მათ თქვენ ეს ლოცვები, თუ არა? რას ამცნებდით თქვენ ხალხს თქვენის ქადაგებით? სცადეთ თუ არა თქვენ როდისმე, რომ გვეითხათ სამწყსონის რომელიმე წევრისათვის, თუ რა გაიგონა და შეისწავლა მან თქვენი სიტყვებისაგან? — აი სარგებელი თანხე და თქვენი გასავალი. აგრეთვე მოიგონეთ შემდეგი: ბევრი იყენენ თქვენს სამწყსონში ისეთები, რომელთაც მთელი წელიწადი არ უთქვამსთ აღსარება და არ ზიარებულან და რა საშუალება იხმარეთ თქვენ იმათ მოსაქცევად? ბევრი იყენენ თქვენს სამრევლოში ისეთები, რომელთაც თითო თვეობით არ გაუყლიათ ტაძრებში და იმოქმედეთ თუ არა თქვენ მათზე თქვენი ღვთისსათნო მსახურებით და აღძრით თუ არა თქვენ მათში ღვთისვედრების და ტაძარში სიარულის სიყვარული? ბევრი იყო თქვენს სამწყსონში ისეთები, რომელნიც, დაინახადენ თუ არა მღვდლებს, იმალებოდენ, ან უკან ბრუნდებოდენ და ემალებოდენ მღვდლებს გადამდები სენივით და იმათში რამდენი მოაქციეთ ისე, რომ შემდეგ ისინი თვითონ ეძებდენ მღვდლებს, რათა მოესმინათ მათი სწავლა-დარიგება? ყველა ამ კითხვებზე თქვენ ვერსად ვერ ნახავთ პასუხს, გარდა თქვენის სინიღისისა, რომელიც გამოიყვანს საზოგადო ჯამს და შეადგენს ანგარიშს, არა ქალაღზე დაწერულს და ყველა გასავლის და შემოსავლის მუხლებთან შედარებულს, არამედ უფრო სასარგებლოს როგორც თქვენთვის, ისე სამწყსონათვის, მეცნიერებით აუწყესულს სამწყსონსა შენისა და დაადგინე გული შენი სამწყსონთა შენთა მამართ. თქვენ სწერთ დაბადებულთა და მონათლულთა მეტრიებს. მაგრამ კარგად მოიფიქრეთ შემდეგი: სცდილობდით თუ არა თქვენ როდისმე, რათა განგემარტებიათ სამწყსონათვის, თუ რას ნიშნავს ნათლის-ღება? რისთვის ასრულებენ მასს? მოგიგო ვინმემ თქვენ ამ კითხვაზე რიგისად, თუ არა? ბევრმა იცის, თუ არა, რაისთვის გვერქმევა ჩვენ წმიდანების სახელი? ამასთან გაავებინეთ თუ არა სამწყსონის, თუ რა მოვალეობას გვადებს ჩვენ წმიდანების სახელები? იციან მათ იმ წმიდანების ცხოვრებაზე, რომელთა სახელები მათ ჰქვიათ? იციან მათ, თუ რაისათვის ჩამოვკიდებთ ხალმე ჯვარს ახლად განათლულს და რა მოვალე ვხდებით ჩვენ, როცა ჯვარს ვიკიდებთ? მანცა და მანცა დიდი ბრძნული

კითხვები არ არიან ესეები, მაგრამ ყოველივე ამის აღსრულება ბევს რამეს მოუმატებს თქვენს ანგარიშს. მეტნიერებით აუწყე სუფსა სამწყსოსა შენისა და დაადგინე გული შენი სამწყსოთა შენთა მიმართ.

აგრეთვე სწერთ, თუ რამდენი გარდაიცვალა და დასაფლავდა. მაგრამ მოითიქრეთ როდისმე იმახედაც, თუ რამდენია თქვენ პირ-მეტყველ სამწყსოში ისეთები, რომლებზედაც ადვილად შეიძლება ითქვას: თუმცა ცოცხლებია, მაგრამ მკვდარ არიან. ბევრი გყავთ თქვენ ისეთები, რომელნიც თუმცა ცოცხლები არიან, მაგრამ სულიერად მომკვდარნი? ანუ სასიკვდილე ავადმყოფნი, რომელნიც საჭიროებენ სულიერ კურნებას? სცილობდით თუ არა თქვენ, რომ განგეკუთნათ ისინი თქვენი მწყემსური დარიგებით და განიკურნენ ისინი თუ არა? ამასთან მოიგონეთ ისიც, თუ რამდენი ავადმყოფნი გრჩებათ თქვენ ახალი წლისათვის, მაგალითად, ისეთები, რომელნიც გატაცებულნი არიან ამა წუთი სოფლის სიამოვნებით და სრულებით არ თიქრობენ არც ღმერთზე, არც ტაძარზე და არც შრომაზე, იზრუნეთ თუ არა თქვენ, რომ ერთი რომელიმე ამ გვარი პირი მოგექციათ და დაგეყენებიათ ჭეშმარიტ გზაზე? ანუ თქვენ ყოველივე მეცადინობას სთელიდით უსარგებლოდ? მოგავიწყდათ თუ არა როდისმე თქვენ, რომ შემწეობა მიგეცათ იმ ობლისათვის, რომლის მამა, დიდი ხანი არ არის, რაც დემარხეთ? და რა სახით აღმოუჩინეთ მას შემწეობა? თქვენ მარტო შეეწიეთ, თუ სხვათაც მოუწოდეთ შემწეობისათვის? სხადია, რომ ზოგიერთ მდიდარს არ ემეტება სამოწყალო გაცემა, მაგრამ არიან ბევრი ღარიბნი, რომელნიც მზად არიან სამოწყალო გაცემა უხვად. ეს ისეთი საქმეა, რომლის შესახებ რჩევის მიცემა ძნელია: ეს თვითველი პირის სურვილი და ნებაა, მაგრამ მღვდლისათვის ეს პირ-და-პირი და აუცილებელი მოვალეობაა. სიკეთე არ დაეყრება იმ მწყემსს, რომელსაც სურს თავის ცხვრების ხორცი სჭამოს და ტყავეთ შეიმოსოს და ცუდ ამინდში კი არ დაფაროს ისინი. მეტნიერებით აუწყე სუფსა სამწყსოსა შენისა და დაადგინე გული შენი სამწყსოთა შენთა მიმართ.

თქვენ ადგენთ ობისკს ქორწინებით შესაუღლოელთათვის, მაგრამ ამავე დროს იმეცადინეთ თუ არა როდისმე, რომ მექორწინეთათვის აგეხსნათ, რას ნიშნავს ერთად ცხოვრება და როგორ უნდა იცხოვრონ ერთად ქრისტიანე სასიძომ და სასძლომ? იციან თუ არა მათ, რისთვის აკურთხევენ მათ კავშირს ღმერთი და

ქრისტე? იციან, თუ არა მათ, რომ რაც შეეერთა ღმერთმა იმას კაცი ვერ გააშორებს? როცა შენიშნავდით ხოლმე თქვენ, რომ საწყალი ქალი მუშაობს და მისი ქმარი კი მუდამ სახლშია და საქმეს ხელს არა ჰკიდებს, ცდილობდით, თუ არა, აგეხსნათ, რომ კაცსარ შეგნის უსაქმოდ სახლში ყოფნა, რომ ქალის მოვალეობა არ არის ზოგიერთა მიძიმე მუშაობის აღსრულება? სცილობდით თუ არა თქვენ, მოგესპოთ ცოლქმართა შორის ყოველივე უთანხმოება და ჩამოგვედოთ სიყვარული და მშვიდობა?

თუ გსურსთ ყველა ამ კითხვებზე პასუხი მისცეთ თქვენს თავს, თქვენ მოამზადეთ მწყემსური ანგარიში და მაშინ შეიტყობთ თქვენს სამწყსოს. მართალია, ამის სისრულით აღსრულება ძნელია, მაგრამ არც ისე ძნელია, როგორც ჩვენ გვგონია. მხოლოდ საჭიროა, რომ ჩვენი გული იყოს მათ ახლოს, ვინც უნდა შევიტყოთ და გავიცნოთ; გული თვითონ მონახავს პასუხს იქ, სადაც უნდა; კითხვას ამა მსგავსიანი პირობისა, ეგრეთ ანუ გულნი კაცთანი, (იგავ. 27, 19).



მ რ წ ო - თ ი ო ნ ე თ ი დ ა მ .

მარწოხ-ხეობა არის ვაკე ადგილი, რომელსაც გარეშემო შემორტყმული აქვს ზღუდესავით მშვენიერი ტყიანი და საბალახო მთები. ამ ხეობაში სცხოვრობს ათასამდე კომლი მცხოვრები, რომელნიც განიყოფებიან სამ საზოგადოებად. ამ ხეობის მცხოვრებთა უმთავრესი ხელობა არის ხენა-თესვა და საქონლის მოშენება, რადგან აქ ბევრი მშვენიერი სახნავე-სათესი მიწებია, რომელნიც შემკულნი არიან ტყით, წყლებით (აქ ბევრგან არიან მარილიანი წყაროები «ვეძები».) და საბალახო მიწებებით. მაგრამ ამ ხეობის მკვიდრთა აკლიათ ერთი უმთავრესი საუნჯე — სკოლა, რომელშიაც შესძლებოდათ თავიანთი მზარდვით შეიღების შეყვანა და წერა-კითხვის სწავლება. მართალია, მარწოხ-ხეობაში არის სკოლა, სახელობრ ხეესტრების გელმა საზოგადოებაში, მაგრამ ეს სკოლა ორ საზოგადოებაზე დაშორებულია ცხრაათის ევრსის მანძილზე და ამიტომ ძალიან ეძნელებათ ამ ორ საზოგადოების მცხოვრებთ თავიანთი შეიღების გაგზავნა ამ სკოლაში, მეტადრე ზამთრობით.

ამ ორი საზოგადოების მცხოვრებთ, რომელნიც ამ სკოლაზედ მოშორებულნი არიან, ადვილად შეუძლიათ ერთი კარგი სკოლა გამართონ თავიანთ ხარჯზედ საშუალო ადგილზე და გამოზარდონ თავიანთი შვილები. ერთი სკოლის შენახვა, ვგონებ საძნელო არ უნდა იყოს რეალის კომლისათვის. მაგრამ მათ არა ჰყავთ კაცი, რომელმაც იკისროს ამ კეთილი საქმის მოთაობა.

არც თიონეთის მაზრაა მდიდარი სკოლებით. აქ სულ სამი სკოლაა: ერთი დაბა თიონეთში, მეორე ს. ამტნის-ხევში და მესამე ს. ალვანში (თუშებში). ამ სამ სკოლაში ორი სკოლა ინახება «დავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგინებელი საზოგადოების» ხარჯით და მესამე, ალვანის მინდვრის თუშების ხარჯზედ.

ასეთი მცირედი რიცხვი სკოლებისა იმის მომსწავლეებელია, რომ აქაურს ხალხს სწავლა-განათლება დღესაც არაფრად მიაჩნია. აქ უადგილო არ იქნება ავღნიშნოთ ერთი სასიამოვნო ამბავი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექმნება თიონეთის მაზრის მთის ხევსურებისათვის. ამბობენ, რომ თიონეთის სკოლასთან არსდება ხევსურების შვილებისათვის «პანსიონი», რომელშიაც ყოველ წლივ უნდა გამოიზარდოს მთის ხევსურების ათი ყმაწვილი ზემოხსენებული საზოგადოების ხარჯზედ. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს ამბავი გამართლებულიყოს.

ხეკსურებში ხელი ჯავა სო-ვა.



აჩის ქვეყანა, ზღვა ამშვენებს მას ერთის მხრითა და მხრით-მეორით მართულია დიდ მთათ რიგითა. მშვენიერია ის ქვეყანა, მთებით, ველებით, დაუკარდის ცითა, ბუჩქნარებით და უვავილებით; შემოსილია ეგრედ ტუტვად მის რთხი კუთხე, რომ სსსა ქვეყნებში ის ქვეყანა აჩის სამართხე.

მაგრამ მეუფეჲ რა იხილა, რომ მისი ერთი იყო ურწმუნო, უთბერთის შური და მტერი, ბრძანა: «აღსრულდეს მასზედ ჩემი მღვთიური ნება და გარდმოკრადეს მას ერწუნა ცით დიდი მცნება, და მცნება იგი მოკუთინოს მას წმიდა ასულმა, ჩემის მადლითა, ჩემის სხვიით გაბრწუნიებულმა; მოკრადეს იგი, ხელში ეპურას მას ვახის ჯვარი, და იმ ჯვართა გარდაიწოს მისი მთა ბარი, და ჯვარი იგი დიდებითა მადლადამართოს და გაცთა კერზნი ბომონნი პირ-ქვე დაამხოს; დაეცეს ერთი მის თერსთ წინა და თუქანი სცეს, მიწწმუნოს მე მან და მცნებითა ჩემით გაბრწუნიდეს, და მისი გული, კერზა, სასუე უგრძობელობით, აღივსოს წმინდის სიმშვიდით და ღმობიერებით; და ეკვლესია ჩემი წმიდა მან დაამკვიდროს და დიდი მცნება საუგუნოდ მას მსკვდრად ერგოს; განათლდეს სწავლით, გონებითა და გულით ერთი, და მოკლადეს მომავალი მას ბედნიერი. მაგრამ ვნებანი და ქენჯნანი ჯერ ეწვიან, ურიცხვანი ერთი, ჩემნი მტერნი მიესევიან მასინ ის ერთი, წილ-სდამილი წმიდის დედისა, აღსდგება ბასრით დასცველად ჩემის მცნებისა, ჩემის სასკელით მრავალს ას წელს ვსედავ, რომ იბრძვიან, იმის სისხლითა მის მთა-ბარი მის მიწა ირწუვის; ეკლის გვირგვინი ადგას თავს მას მუხარადად და ჩემი მცნება გულს აქვს დროშად, აბჯარ-აბჯარად და მას მცნებისთვის დაიტანჯვის დაიქენჯება, არც დღე; არც ღამე განსვენება მას არ ექნება, მაგრამ დიდებით გამოვა იმ დიდის ბრძოლითა, სისხლში შესვრელი მხარ-გულ-მკერდით და ძონძებითა». აღსრულდა ესე, მოესხნა მას ეკლის გვირგვინი და დღეს დიდებით ისვენებენ მას მისნი შვილნი და აწ, წმიდაჲ, შენი ერთი განსვენებული, შენგან ციურის, საღმრთო მცნებით გაბრწუნიებული დღევანდელს დიდს დღეს, დიდებულის სასკელას შენის, ვახის ჯვარის წინ და მხობილი მადლობის ცრემლს ღვრის. (ივერი.)

კ. რ.



ახალი ამბები და შენიშვნები.

წარსულს წელში იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სამრევლო სკოლებს რევიზია უყო ჯერ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა; მათ შემდეგ ეს სკოლები დაათვალიერა ასტანოვი პოლკოვნიკმა უ. ნიკიფოროვმა, რომელიც ითვლება «ქავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად. სასურველია, რომ ამ სკოლებს რევიზიას უშვებოდნენ ის პირნი, რომელნიც ეკუთვნიან სასულიერო უწყებას:

* * *

ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ერთი ხელნაწერი სახარება თათრულს ენაზე რომელიც დაწერილია ქართული ასოებით. ეს ხელნაწერი სახარება აშკარად გვიმტკიცებს, რომ უწინდელს დროში ჩვენი მისიონერები ავრცელებდნენ ამისთანა წიგნებს იმ მუსულმანთა შორის, რომელთაც წერა-კითხვა იცოდნენ ქართულს ენაზე.

* * *

მდესის და ხერსონის მთავარ-ეპისკოპოსს ნიკანორს უთხოვნია მდესის ქალაქის თვით-მარველობიათვის, რომ ქალაქმა თავის შემოსავლიდამ დაუწინაოროს ამ წელში არქიელის მგალობელთა გუნდს ორი ათასი მანეთი ხარჯად.

კრგი იქმნება, რომ ჩვენი ქალაქების თვით-მართველობანიც მიბაძავენ ქალაქ ოდესის მშვენიერს მაგალითს. შრიგო არ იქმნება, რომ ყოველ ქალაქი ხარჯავდეს რასმეს, რომ საკრებულო ტაძრებში ხეირიანი საეკლესიო გალობა ატკობდეს მლოცველებს.

* * *

შველამ იცის, რომ ამ ახალი წლოდამ გამოიცა რუსულს ენაზედ სინოდის ქურნალი «საეკლესიო

უწყებანი,» რომელიც ყველა ჩვენს ეკლესიებზედ უნდა დარიგებულიყო. ამ ქურნალისათვის ეკლესიებდამ ყოველ წლობით უნდა წარდგინდეს ხოლმე სამ-სამი მანეთი. ჩვენი რუსული გამაცემის დეკემბრის ერთ ნომერში დაწვლილებით აღვწერეთ ჩვენი საქართველოს ეკლესიების სიღარიბე და გაჭირებული მდგომარეობა ნიეთიერის მხრით. ჩვენი ეკლესიების ასეთი სიღარიბე შევატყობინეთ კერძო წერილით სინოდში მოსამსახურე ერთ პირსაც. ჩვენ და სასინარულოდ ჩვენს გამოთქმულა აზრს ყურადღება მიექცა. საქართველო სინოდალურ კანტორას მოუვიდა ყველა ჩვენი ეკლესიების დაბეჭდილი ადრესები და ეთხოვესა წაშლა ღარიბი ეკლესიების ადრესებისა. აქედამ სჩანს, რომ ეს ქურნალი მოვა მართო შეძლებული ეკლესიების სახელზედ. მაგრამ ის არის სამწუხარო, რომ მეორე თთვე თავდება და ჯერეთ არც ერთი ნომერი გაზეთისა არ მიუღაათ ჩვენი ეკლესიების კრებულო.

* * *

ჩვენი რედაქციის სტამბაში იბეჭდება პერიოდიკის მეთქსები და მცირეს ხანში გამოვა გასასყიდლად.

* * *

ჩვენ შეიტყვეთ, რომ უწმიდესს და უპართუბულეს სინოდს მარტვილის საკრებულო ტაძარი პირველი კლასის მონასტრად დაუმტკიცებია.

* * *

გაზ. «ივერია»-ში ვკითხულობთ: «საქართველოს ექსარხოსს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს პალატის მიულა განსახილველად თხოვნა ვ. მ. საბინინისა, რომ ჩემიერ შეკრებილი ფულით დაარსებულ იქმნეს სასწავლებელი წმ. ნინას მონასტერთან, ქიზიყშია».

ამას წინედ ერთ რუსულ გაზეთში წავიკითხეთ შემდეგი: «ბ. საბინინმა თხოვნა შეიტანა უწმიდეს სინოდში და ითხოვა, რომ ბოდბისის სობოროსთან დაარსებულ იქმნეს დედათა მონასტერი რუსების და მართველთა მონაზონებისათვის. ბარდა ამისა გამოცხადებული იყო, რომ მონასტერთან უნდა დაარსდეს ხელთსაქმარო სკოლა».



ღმერთმა კეთილი ჰქნას, მაგრამ ჩვენ ძალიან ეჭვი გვაქვს, რომ ამ კეთილი საქმისათვის ბ. საბინის იმდენი ფულები ჰქონდეს შეკრებილი, რომ ამ ფულით შეიძლებოდეს მონასტრის და სკოლის დაარსება.

* *

როგორც შევითქვით, მის ყოვლად უსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოსს ბაბრიელს თავის ეპარქიის თეოლოგულს მაზრაში დაუნიშნავს განსაკუთრებითი გამომეძიებლები, რომელთაც ღვთისმშობლის მიწოდებათ ყოველივე გამოსაძიებელი საქმე სასულიერო წოდების პირთა შესახებ. მათ მეუფებას მუთაილის მაზრაში გამომეძიებლად დაუნიშნავს მღვდლები: ბიორგი შხაკაძე და ამბაკო ლიბრაძე; შორაპნის მაზრაში მღვდლები: ტიმოთე ძაბანაძე, მინიხი სულაქველიძე და ბაიოზ მალრაძე; რაჭის მაზრაში მღვდელი ფანჯავიძე.

საქმის რიგიანი გამოძიება და გამოკვლევა მოითხოვს გამომეძიებელისაგან მისი მოვალეობის მტკიცედ ცოდნას. ამიტომ ურჩევთ ყველა იმ პირთ, რომელნიც მათი მტყუებლისაგან არიან დანიშნულნი გამომეძიებლად, რომ კარგად შეისწავლონ თავიანთი მოვალეობის ყოველივე მოთხოვნილებანი.

* *

«ამ იანვრის 26 იყო ბორის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდლოების დეპუტატების კრება. ძრება მოხდა ისევ და ისევ ახალის შენობის თაობაზე. წარსულმა კრებებმა გადაწყვიტეს და მთავრობამაც დამტკიცა, რომ აშენდეს ჯერ ჯერობით ერთი სართული. მაგრამ შემდეგში სასულიერო სასწავლებლის გამგეობამ აიღო დაიღო საქმე და დარწმუნდა, რომ კარგი იქნება, მეორე სართულიც აშენდეს შენობის მიწაზე, თორემ ერთხელაც იქნება სამღვდლოებამ უნდა დაამთავროს სახლები და აშლა-დაშლაში კიდევ მეტი დაეხარჯება. ამიტომ უმჯობესი იქნება ეხლავე შეუდგნენ საქმესაო. აწინდელმა კრებამ გამგეობის აზრი საწვდომიოდ დაინახა. ამ აზრს წინა-

აღმდეგ გაუხდა რამდენიმე მღვდელი, მომეტებულად ოსტეპ ბლალოჩინები. მაგრამ სამღვდლოებამ, რომლის უმეტესობა ახალ-გაზდანი იყვნენ, დასძლია მხტოვანება. ამოირჩიეს თავ-მჯდომარედ კრებისა ახალ-გაზდა მღვდელი გორის საკრებულო ეკლესიისა, მ. ი. გამრეკელი, რომელიც თითქმის ყველა კრებებზე არის ხოლმე წარმომადგენლად და ცნობილია თავისი კეთილისმიმართულებით, სიყვარულით და გულშემბატკიერობით სასწავლებლისადმი. საქმის მწარმოებლად აირჩიეს ახალ-გაზდავე მღვდელი ბორჯომისა მსერ. დავითაშვილი. ამათ სხვა ახალგაზდა დეპუტატების შემწევობით საქმე თავისკენ წაიყვანეს და დაადგინეს: ესთხოვით ექსარხოსს, შემწეობა გაავიწიოს და გვიწუამდგომლოს, რომ რამდენიმე ასი თუმანი გვაჩუქოს მთავრობამაო; ესთხოვით დაგვეხმარნენ იმ ფულითა, რომელიც აქეთ ეკლესიებსა, რომ შემო სართული სკოლისა დავამთავროთო. ამას გარდა რამდენიმე ასი თუმანი კიდევ ხელთა აქეთ. სრული იმედია, რომ ეკსარხოსი ხელს მოუშართავს და იმათს თხოვნას შეიწყნარებს». (ივერია).

ს ი ტ ვ ე ა ,

თქმული მთავარ ეპისკოპოსის, საქართველოს ექსარხოსის მიერ 14 იანვარს წმიდა ნინას დედათა სასწავლებელში წირვის შემდეგ კრებაზე.

«ეკრძალვინო, ნუ უკვე ვინმე შეუცდებით ერთი მცირეთა ამოგახიო» (მათ 18, 10).

როგორც მოძღვარი და თქვენი კეთილისმუსრველი მოცილოცავთ თქვენ, ამა სასწავლებლის-მზრუნველნი და დვთის-მოყვარენო ქველის მომქმედნო და აგრეთვე თქვენცა, ახალ-გაზდა მოსწავლე ქაღნო, თქვენი სასახლის

ეკლესიის ტაძრის დღეობას, პატივად და მოსახსენებლად მოციქულთა-სწორის და ღვთისგან აღმორჩეულის საქართველოს განმანათლებელის წინასას.

როგორც გვასწავებს სიტყვა ღვთისა და ეკლესია, ნეტარნი ცათა შინა მყოფნი, განისვენებენ რა ზეცაში ღვთისათანა, ხან-დის-ხან, ნებისა მებრ უფლისა, იმყოფებიან ხოლომე ქვეყანაზედაც. განსაკუთრებით წმ. ტაძრებში, რომელნიც აღშენებულნი არიან მათ სახელზე და რომელნიც მინდობილ არიან მათ მადლიან მფარველობასა. ვსასოებთ, რომ ამ ტაძრის ანგელოზიც, წმ. მოციქულთ-სწორი ნინა, იმყოფება რა ზეციურ სამოთხეში. ღვთის ნათელსა შინა, მადლითა თვისითა ხედავს ჩვენს ენლანდელს დღესასწაულობას, უნილავად ღოცვილობს ჩვენთან, სულიერად იხარებს ჩვენთან და ღირსეულთა მიანიჭებს თავის ზეციურ ღოცვა გურთხევას.

უპირველეს ყოვლისა ის მეოხ ექმნება როგორც ამა სასწავლებლის უწინდელ აღმაშენებელთა და მზრუნველთა, ისე დღევანდელთა და უოველთა, რომელნიც აქ ნაყოფიერად მოქმედებენ. თქვენ, მზრუნველნი და ქველ-მომქმედნი, რომელთაც მხურვალედ მიგიდიათ უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა სიტყვანი: «ეგრძაღენით, ნუ უკვე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამთგანი და რომელმან შეიწყნაროს ისინი, სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარებს» (მათ. 18, 5), გულის მოდგინებით და სიყვარულით მიგიდიათ თქვენს თავზე ძნელი, საზრუნავი და ბევრად უსუსუნის-საგებელი შრომა მზრუნველობისა ამა მცირეთა ზედა, რათა ივინი აღზარდოთ და განანათლოთ როგორც მოითხოვს სარწმუნოება და კეთილ-მსახურება, რათა რცა ერთი მათგანი არ წარწყმდეს (იოან. 17, 12). ეს საქმე, ჭემპარი-ტად, წმიდა, ქრისტეს მისაბაძავი და კაცთ მოყვარულია და ამასთან ერთად მანუკმებელიც არის მზრუნველთათვის, ვინაიდან ქრისტეს სახიერების იარაღად განდობა არის უმადლესი მისი

ნიჭი და ნამდვილი ჭეუჭველი თავ-მდეები ქრისტეს მოწყალებისა, რომ თქვენ თქვენგან ნატვართი საქმე რიგანად მიგჰყავსთ, ეს მისი მოკაჟუკბელია, რომ უფალი და მისი ყოვლად წმიდა დედა, მოციქულთ-სწორის და ჩვენი მეოხის ჰუამდგომლობით აკურთხევენ თქვენს კაცთ-მოყვარულს ერთ-გულობას, და ღვთის გურთხევასთან თქვენი შრომაც და თქვენგან შეწირული მსხვერპლოც არ დაშთებიან უნაყოფოდ.

ამ გვარად, ხარობს რა თქვენთვის, მზრუნველნი და ქველის-მომქმედნი, და დაგცქერთ რა ციღამ წმ. ნეტარი ნინა, იგი ღოცვილობს თქვენთვის თქვენი მშვიდობისა, კეთილ-დღეობისა და ცხოვნებისათვის! თქვენ სინამდვილით და სისრულით ასრულებთ მაცხოვრის მცნებას: ეგრძაღენით, ნუ უკვე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი.

მაგრამ ხარობს და გლოცავთ თქვენ, მოსწავლენო, ზეციური მფარველი თქვენი, წმ. ნინა, თუ იგი სწუხს თქვენთვის? იგი ხარობს სინარულითა დიდითა და თქვენში ღოცვას მათ, რომელნიც იქცევიან მზგავსად სახარების ბრძენ ქალწულთა. ვინ არიან ეს ბრძენნი ქალწულნი? ესენი არიან წმინდანი და არა ბიკიერნი პირნი, რომელნიც მუჟამ ფიქრობენ ქრისტე მაცხოვარზე, ზეციურ სასიძოზე, ყურადღებით ისმენენ ღვთის სიტყვას, რომ უკეთესად გაიგონ გამოუთქმელი სიმშვენიერე და სისრული მისი, და რამდენათაც უფრო გაიგებენ მასს, მით უფრო შეუერთდებიან ქრისტეს სარწმუნოებით და სიყვარულით და დაამშვენებენ თავიანთ გულის წმიდა და კეთილი გრძნობით, რომელნიც მეცადინობენ ასინამოვნონ ქრისტე ჭადასრულონ მისი მცნებანი. სარწმუნოება მათი ანთებელია, როგორც ბრწყინვალე ღამპარი, ხოლო მათი კეთილ-ცხოვრება, როგორც ზეთი, ინახავს ცეცხლს, რომელიც საჭიროა მათი სარწმუნოების და ღვთისადმი წმიდა სიყვარულისათვის. ამისთანა ბრძენ ქალ-

წელთ მოხედავს ზეციდამ წმ. ნეტარი ნინა და სინარულით დალოცავს მათ და მასთან მუდამ მხურვალედ და გულს-მოდგინედ ილოცავს მათთვის.

ვინ არიან სულელნი ქალწულნი? ასეთები იყვნენ ზარმაცნი და გაფანტულნი ქალწულნი, ამიტომაც მათ სამწუხარო ბედი ჰვდათ, როგორც ეს გამოხატულია სახარების იგავში. უფალმა, ზეციურმა სიძემ არ მიიღო ისინი თავის ბრწყინვალე და ნეტარს დარბაზსა შინა, ზეციური სასუფევლის კარნი დაეშოთ მათ და ბევრი იძახეს მათ, უფალო, უფალო, განკვილე ჩვენ, მაგრამ მათ ისმინეს მისგან ხმა უარ უოფისა: **აწ გიციინ თქვენ.** (მათ. 24, 11 და 12).

იმეცადინეთ, ქალწულნი, რომ უველა თქვენ შეიქმნეთ ბრძენი ქალწულნი. როგორც ხორციელად იზრდებით, ისე იმეცადინეთ ადიზარდოთ სულიერად. დვთის შიშით დაცულნი, ადიზარდენით სიწმიდით და უცოდველად, როგორც სწორი კლერტი ქრისტესი, ადიზარდენით უმაწვილობის კეთილის და შეუკინებელს ზნეობასა შინა. ჩვენ ვხარობთ თქვენთვის, რადგან თქვენ ქრისტეს სიყვარულსა და თქვენ მზრუნველთა მფარველობასა ქვეშე მოგიპოვებიათ აქ ადგილი კეთილი ადზრდისა და განათლებისათვის. აქ გასწავებენ თქვენ უოველივე კეთილს და სასარგებლოს, სთესვენ თქვენს სულში წმ. სარწმუნოებას, ხელგმძღვანელობენ თქვენ თქვენს კეთილს ცხოვრებაში. იყავით კეთილ-ზნეობიანი, მშვიდნი და გამგონენი, ისწავლეთ ბეჯითად და იყავით შრომის მოყვარენი. ამას მოელიან თქვენგან თქვენი აქაური მზრუნველნი; ესევე გაეხარდება თქვენს ზეციურს მფარველს, წმ. ნეტარ ნინას. ის მუდამ იქმნება თქვენი მლოცველი, თქვენი შემწე თქვენს შრომაში და მეცადინეობაში და თქვენი განათლების საქმეში, რათა უფალმა, განჩინალე-ბელმა ურმათა (ფსალმ, 18, 8) დაგამტკიცოს თქვენ ჭემბარითებაზე, გასწავოს თქვენ, რათა აღასრულოთ მისი კეთილ-ნება და განემორთო უოველივე ბოროტს.

კურთხევა უფლისა თქვენზედა და მისი წმიდა მოწყალება იყოს თქვენზედა აწ-და მარადის! ამ სიტყვის გათავების დროს მათმა მეუფებამ აკურთხა სასწავლებელი წმ. მოციქულთ-სწორის ნინას ხატიოთ, რომელიც ჩააბარა ქველ-მომქმედი საზოგადოების თავს-მჯდომარეს, ე. ი. შერეპტივისას. ამას გარდა, უველა მოსწავლე ქალებმა მიიღეს მათი მეუფებისაგან ჯვრები და წიგნაკები: **«ცხოვრება წმ. ნინოს, საქართველოს განმანათლებელისა».**

საეჭკო კითხვების განმარტება.

მღვდელთა საყურადღებოდ.

ვსთქვათ სასიძომ და სასძლომ უველა საჭირო საბუთები წარედგინეს მღვდელს საქორწინო ობისკის შესადგენად და თავიანთი თანხმობაც განუცხადეს მოძღვარს შეუდლებაზე, მაგრამ ამ დროს მოვიდა მღვდელთან ვინმე ქალწული ქალი და ობისკის შედგენის დროს განაცხადა, რომ სასიძოს პირობისა მებრ იგი უნდა შეერთო ცოლად და არა სხვა ვინმე და ეს განცხადება ამ პირს წერილობით წარუდგენია ბლადოჩინისათვის, რომელსაც იგი განცხადება გამოუგზავნია მღვდლისათვის შემდეგის ზედ წარწერით: **«კრებულს».** როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი ამ შემთხვევაში?

რომელიმე ქალწული ქალის სატყუარა, ანუ წიკალობითა განცხადებას, რომ საგვირგვინოდ გამხადებულ სასიძოს მასზე უნდა დაქვარა ჯვარად, მაგრამ იგი მოატუა და ესლა სხვას, რთავს, აწ შეუძლია დააბრკოლოს სასიძო აღმოჩნეულ პიკთან ჯვარის წიკაზე. ამ

შემთხვევაში მღვდელი უნდა მოიქცეს ამ გვარად: ობის-კის შედგენის ანუ ჯვარის წერის წინადაც განცხადება მღვდელმა უნდა შეატყობოს სასძლას მშობლებს, ანუ მზრუნველთა და თვით სასძლას და ამის შემდეგ თუძრა მშობლები და თვით სასძლად მოითხოვენ ჯვარის წერას განცხადებულ სასძლასთან, მღვდელმა უნდა დასწეროს მათ ჯვარი. ამ გვარადვე უნდა მოიქცეს მღვდელი ამ შემთხვევაშიც, როცა განცხადებულს სასძლას ბრადება, რომ მან შეტყობინა ვინმე ქალი და მკრე უჩრითხრა შერთვაზე. ამ შემთხვევაში მღვდელმა ეს განცხადება უნდა შეატყობოს სასძლას მშობლებს, მზრუნველთა და თვით სასძლას, ამასთან რომელიც უნდა განუმარტოს მათ დასჯ. წესდ. 1531 მუხლის ძალა (გაბოც. 1866 წ.) და თუძრა ამ მუხლის ძალას არ მიიქცევენ ყურადღებას მშობლები, მზრუნველნი და თვითან სასძლად და მინც მოითხოვენ ჯვარის წერას, მღვდელმა უნდა დასწეროს მათ ჯვარი, თუ ამისთანა განცხადებით მიიქცა ყურადღება და ჯვარის-წერის მსურველთა უჩრით ეთქვათ, ეს გამომიწვევს გარყვინილებას და მიზეზს მისცემს ბეგის უპეტაცოსა ქალთა, რომ მათ თავიანთი უკანონო და უსინდისო განცხადებით ხშირად შეახერხონ და ხან სრულებით მოშლან ჯვარის-წერას.

ამ ქალს, რომელიც მოატყუა, ანუ შეტყობინა სასძლად, შეუძლია დაუმეორებლად მიიღოს სამსჯულოდ წესით და არა მიიქცეს სახიერებით და თხოვნებით მღვდელმთადმი და სთხოვოს მათ, რომ ჯვარი არ დასწეროს განცხადებულ ჰიზს მისგან აღმოჩნეულ საცოლასთან.

შეიძლება, თუ არა, მღვდელმა კვითა შეასრულოს უფილონოდ?

არ უნდა დაგიფიქროთ ჩვენ, რომ კვითა, როგორც წიგნის ნ.წლი, ეკლესიური კანონების თანახმად შესრულებულ უნდა იქმნეს მღვდლისაგან, რომელიც შემოსილი უნდა იყოს

უკლა სამღვდლო შესამოსლებით. აქედამ ცხადია, რომ მღვდელი შემოსილი უნდა იყოს ფილონითაც.

როცა ტარიგ ვიღებთ სეთისკვირად, ვარგი იქმნება, თუ არ შევცვლით სეთისკვირის მდებარეობას, თანახმად საიდუმლოს მნიშვნელობისა; საჭიროა, რომ ტარიგისე ამოიღოს მღვდელმა, რომ სეთისკვირის გუთხეობი, ტარიგის ამოღების შემდეგ, არ დაიშალოს, არამედ წარმოადგენდენ ჰეტარა კიდობანს. როცა ბარძიმში ზედაშეს ვასხამთ, ყოველთვის უნდა ჩავხედოთ, რომ შიგ რამე მწერი არ იყოს. აგრეთვე როცა ლაფარებს ვაფარებთ ბარძიმ-ფეშხუმს, გვეკმდის უნდა დაკვიდროთ, დაფარებს, რომ მათში დამალულნი არ ყუენ მწერები.

სამსხვერპლოზე არ შეიძლება იფულების დადება და არც სამწერლო სტოლად გახდომა. სამსხვერპლოზე უნდა ეწეონ მხოლოდ სამსხვერპლოს საჭირო გუთხეილებანი.

არაგის არა აქვს ნება, რომ ეკლესიის ღვინო დალიოს, განსაკუთრებით ჰირდა ჰარ ზედაშეს ჭურჭლიგან. წიგვის გათავების შემდეგ, როცა ბარძიმს გამოავსმენდთ ღრუბლით, არას დროს არ უნდა დაეტოვოთ ეს სოკელი ღრუბელი ბარძიმში. ჩვენში სამღვდლოებს, სამწუხაროდ, ჩვეულებად აქვს სოკელი ღრუბლის ჩატოკება ბარძიმში. ეს სოკელი ღრუბელი სრულებით აფუჭებს ბარძიმის მთელ კვირულ შინა განს, რის გამო სიწმინდეს ეძლევა ცუდი გემო. ბარძიმი უნდა გამოვიწმინდონ ღრუბლით ვარგად და ამოღებული უნდა შეინახონ.

შეუძლიათ თუ არა ცოლისა და ქმარს ერთისა და იმავე დედ-მამის შვილები მონათლონ ცალცავე სხვა და-სხვა დროს?

ქმარსა და ცოლს ერთად არ შეუძლიათ მონათლონ ერთისა და იმავე მშობლის ბავში, მაგრამ ცალცავე და სხვა-და სხვა დროს კი შეუძლიათ მონათლონ. (იხილეთ უქაში უწმიდესი სინოდის 17 რეკომენდამ 1844 წლისა.

საჭირო ცნობები მღვდელთათვის

14 თებერვალს.

ოცდა მეცხრამეტე კვირიაკე. კობიაკე მეზგე-
რისა და ფარასკეისა. დიხსთა აგესენტისა, მარნისა,
აბრამისა, კირილე ფილქსოფოსისა, სლავანთა განძ-
ნათლებელისა. სპს ხუთი. საცისკრე სასარება მესხეთე.

21 თებერვალს.

კვირიაკე მეორმოცე. კობიაკე უძლები შვილისა.
დიხსთა მამათა ტიმოთეისი ეგესტატესი. სპს ექვსი.
საცისკრე სასარება მექქასე.

26 თებერვალს.

ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღესას-
წაულობა.

28 თებერვალი.

ხორციელის დაურწყების კვირიაკე. დიხსისა
ჟასილისა, მარინასა, კირილესა, დომნიკისა და სსკათა.
ხმათ შვიდი. საცისკრე სასარება მეშვიდე.

რედაქციის პასუხი

შილნალს. მღ. ი. იაშვილს. თქვენგან გამოგზავნილი სამი მანეთი
წარსული წლის გაზეთის ფასი არის
და არა ამა წლისა. ბევრი ფული
დაგვეარგა აგრე დარჩენილი. თუ
ბლალოჩინმა არ გამოიწერა, ისე
ალარ შეიძლება გაზეთის გამო-
გზავნა.

მღვდელს ა. მირ—ეს. უდროვოა კიდევ ჩვენში საუბარი
ხალხთან ურწმუნოებაზე. ჩვენი მდა-
ბიო ხალხი, მართალია, გაუნათლე-

ა. ჭანტურაიას.

მღვ. ფ. ბარ—ბაქაძეს.

თ. ნ. ჩიჩუას.

მღვდელს გ. კო—ძეს.

ანდრონიკე ჯაფ—ძეს.

მღ. დიმიტრი ლო—ძეს.

მღ. ერასტი გაბ—ძეს.

ბელია, მაგრამ სარწმუნოებას მტკი-
ცედ ადგია. ამისათვის თქვენი სტა-
ტია არ დაიბეჭდება.

ერთსა და იმავე საგნის ათჯერ გან-
მარტება არ შეიძლება. ვისაც რაი-
მე ეჭვი აქვს, წაიკითხოს ძველი ნო-
მრები ჟურნალის «მწყემსი» სპ და
შეიტყობს.

გულ-დასმით წაიკითხეთ ჩვენგან შე-
დგენილი წიგნი „მღვდელთათვის
სახელმძღვანელო წიგნი საიდუმ-
ლოების შესრულების დროს“. ეს
წიგნი ყველა ეპარქიისა და ერიგა და
თქვენი კითხვის განმარტებას მასში
ნახათ.

იმ საგანზე და იმ პატივცემული ბლა-
ლოჩინის სწორეთ საქებას შევხედ-
ორჯერ იყო დაბეჭდილი ჩვენს გა-
ზეთში.

თუ მედავითნე მღვდლის ნება დაურ-
თველად სამრევლოს გაშორდა, მის
გაშორების დროს ალბუდ საჩუქა-
რის წილს, რასაკვირველია, არ ელირ-
სება, პირიქით კიდევ დაისჯება.
მედავითნების ინსტრუქცია ჩვენ
ამასწინეთ დაგებულად და რომ ყვე-
ლანი წაიკითხავდენ, უსარგებლო არ
იქნება...

ყველა ამაოდ-მორწმუნეობაზედ რომ
ვსწეროთ, ვგონებთ, მათი აღწერი-
ლობა არც ამ ქვეყანამ დაიტოს.

გულითად მადლობას გიძღვნით კე-
თილის ნატკრისა და სურვილისა-
თვის. რა ბედნიერი ვიქნებოდით, რომ
ყველა ჩვენი მოძმენი თქვენსავით
აუასებდენ კაცის შრომას!

თქვენი აზრა, რომ დიდ გაჭირებაში
აგდებენ მღვდლებს საიდუმლო მოქ-
მეებათა შესრულების შეუსწავლო-
ბით, პრაქტიკულად სწორედ მართალია,
მაგრამ მეორეს მხრით რომ შევხე-
დოთ საქმეს, ძნელი ასასრულებელია.
აქ უმეტესად ჩვენი მოძმეების დაუ-
დევრობა არის მიზეზი, რომელნიც
სრულებით არ ცდილობენ, თა-
ვის მოვალეობა მტკიცედ შეისწავ-
ლონ და განიმარტონ. ისინი ხელს
არა ჰკიდებენ იმისთანა საკითხავ წიგ-
ნებს, რომელნიც მათ დაეხმარება და
გაავებინებს, რაც არ იცინ კარგად!



საპოლიტიკო და სალიბერალური გაზეთი

„ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდან გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევნ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

12 თვით . . . 10 მ.—გ.	6 თვით . . . 6 მ.—გ.
11 ,, . . . 9 ,, 50 »	5 ,, . . . 5 ,, 25 »
10 ,, . . . 8 ,, 75 »	4 ,, . . . 4 ,, 75 »
9 ,, . . . 8 ,, — »	3 ,, . . . 3 ,, 50 »
8 ,, . . . 7 ,, 25 »	2 ,, . . . 2 ,, 75 »
7 ,, . . . 6 ,, 50 »	1 ,, . . . 1 ,, 50 »

საზღვარ-გარედ დაბარებული ციურება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარე მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлис. Въ Редакцію газеты „ИВЕРІА“

ითუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე აღრესნედ შეცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის აღრესის შეცვლაზე—40 კაპ.

ითუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდან გავეზავნება. მანცხადებანი მიიღებან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო 1 ლი გვერდი—60 მან. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალ ბაზედ, რამდენს ადგელსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოეგზავნოს, მიღებული ხელთ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საქორიგებამოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქნება. არ დასაბუქდეს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიციონეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ. არა გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბუქდათ ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქმნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, 1-ლ საათიდან 3 საათამდე და საღამო ბით 7-ლამ 8 მდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

მიიღება ხელის-მოწერა 1888 წლისათვის ორ-კვირულ გამოცემათ მართულს

„მ წ ყ ე მ ს ზ ე ლ“

და რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმღვდლოთა სასჯელ-ერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

ფასი გაზეთისა:

12 თვით «მ წ ყ ე მ ს ზ ე ლ» 5 მ.	6 თვით «მ წ ყ ე მ ს ზ ე ლ» 3 მ.
— ,, ორივე გამოცემა » — ,, ორივე გამოცემა 4 »	
— ,, რუსული ,, 3 მ.	— ,, რუსული ,, 2 მ.

წარღების გაგზავნა და შირის. შირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ვერილასში, რედაქტორის საკუთარს სასახლეში და ქუთაისში რედაქციის სტამბის განტორავში ნემეცის ქუჩაზე, ხანანაშვილის სასახლეში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“ (пастыр). შვირილაში, „მ წ ყ ე მ ს ზ ე ლ“-ს რედაქციაში.

შ ი ნ ა რ ს ი: მალა ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარქოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პაპადის სასულ-წოდების დეკლარაცია. — ყურადღება მიუქციათ ჩვენი შეიღების ზნეობრივ და გონებრივ აღზრდას. — ჩვენი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები რუსეთში მოგზაურობის დროს. — მოსტყვევული მღვდლის წერილი ახალ-გაზდა მღვდელთან. — ეწეოს სეობიდან. — ლექსი გ. ო. სა. — ახალი ამბები და შენიშვნები. — სიტყვა, თქმული მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოს ექსარქოსის მიერ 14 იანვარს წმიდა ნინას დედათა სასწავლებელში წინვის შემდეგ გრებაზე. — საეჭვო კითხვების განმარტება. — საჭირო ცნობები მღვდელთათვის. — რედაქციის პასუხი. — განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეგ. დ. დამბაშიძე. Доз. цензурою Кутаисъ, 1888 г. 14 Февраля

საკუთარი მსწრეთ-მბეჭდავი რედაქცია.